

ანოტაცია

თოვლის ზვავები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ბუნების სხვა სტიქიური მოვლენებისაგან განსხვავებით, ხშირი განმეორებადობით გამოირჩევა, ყოველწლიურად მნიშვნელოვან ზარალს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას, საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, ხელს უშლის მთიანი რეგიონების ათვისების ნორმალურ პროცესებს. ამ ინფორმაციის ფონზე კარგად ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანია ზვავების განვითარების და მოსალოდნელი საფრთხის ანალიზი. საქართველოში ზვავების კვლევის მრავალწლიანი გამოცდილების არსებობის ფონზე აღსანიშნავია, რომ შედარებით დეტალური კვლევების გაგრძელების შემაფერხებელი ფაქტორია სავსე მასალების და კვლევის თანამედროვე მეთოდების დეფიციტი. ამიტომ ვთვლით, რომ დროული იყო ასეთი მნიშვნელოვანი პროცესის ახლებურად და თანამედროვე მეთოდებით კვლევა, რაც თავისთავად დადებითად აისახა სამაგისტრო ნაშრომის ხარისხზე. კვლევის მიზანი იყო გეოსაინფორმაციო სისტემებში (GIS) შეგროვილი მასალის თავმოყრის შემდეგ მოდელის შექმნა, რომელიც გამოავლენს და ზუსტ სურათს მოგვაწვდის რაჭის რეგიონში არსებული ზვავსაშიშროების ცალკეული კერების შესახებ: ა) თოვლის დაგროვების არეალები (ციცაბო ხევები) ბ) ზვავის მოწყვეტის ადგილები. კვლევა მოიცავდა რამდენიმე ეტაპს. პირველი ეტაპი - არსებული ლიტერატურის მოძიება. კვლევისას გამოვიყენეთ ASTER - 30 მ გარჩევადობის DEM. მიწის საფარის შესახებ მონაცემები შეგროვდა სავსე დაკვირვებების მასალებით, აგრეთვე უახლესი აეროკოსმოსური სურათების (Landsat 8 OLI) დეშიფრირებით მიღებული რასტრული ფენების გამოყენებით. შეიქმნა მონაცემების დამუშავებისა და ამ ობიექტების კლასიფიკაციის მოდელი, სადაც განთავსდა რასტრული ფენები რელიეფისა და მცენარეულობის შესახებ. GIS-ში შესაძლებელია ზვავსაშიშროების რელიეფის ფორმების მოდელირება, ანალიზი, წინასწარ განჭვრეტა და ვიზუალიზაცია.

ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულ მეთოდებსა და მიღებულ შედეგებზე მომზადდა სტატია და გამოსაქვეყნებლად გადაეცა „ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალს“ (JYR), რაც ვფიქრობთ ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მკვლევარების დაინტერესებას ამ საკითხით და ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევის წამოწყებას.